


9
1963

— არქივო ბეგლარიჩ, თანამშრომლებს
რატომ არაფერს ავალდებთ?!
— როგორ დავავალო, როცა ყველა ჩემი
ბიძაშვილ-მამიდაშვილია?

ნახ. ა. კანდელაკისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



№ 22

თბილისი

ნოემბერი

1963

ნაწი

გამოცემის 41-ე წელი, ფასი 20 კპ.



საქართველო

ლიბლის გაჩეხვა

როცა სურათს იღებენ, პოზას იღებენ და, უნდათ, თუ არ უნდათ, იღიმიან. ასეა და, ასე ვთქვათ, ასეც უნდა იყოს, აკი ადამიანები სიხარულისთვის არიან დაბადებული და არა მწუხარებისათვის და, ამიტომაც არ უყვართ მათ ჩამოგრძელებული ცხვირები და ჩამოშვებული ყურები.

მაგრამ ამ სურათებს რომ დახედავთ, ფოტოხელოვნებაში გაუწყდავი თვალთაყად-ვილად შეამჩნევთ, რომ ღიმილი არც ერთს არ დასთამაშებს და რომ ეს ტანაყრილი გაქცევები დიხაბაც აშკარად უხერხულ მდგომარეობაში ჩაყარდნისა და ვიღაცას, ცხადია, მათდა არასასიამოვნოდ, ფირზე ალუბნებდია მათი არამოლიმარი, მაგრამ, სამაგიეროდ, მრავლისმთქმელი გამომეტყველება.

რა დაშავებს მათ? თითქოსდა დიდი არაფერი, არც უხელიგნაობა, არც ვინმესთვის შეურაცხყოფა მიუყენებით, არც რაიმე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაუდენიათ, უბრალოდ მოძრაობის უშეშროების წესები დაურღვევათ, ნებისთ თუ უნებლიედ, არც არავის გაუტანიათ, არც ისინი გაუტანია არავის.

იქნება თქვა, მერე რა, თუ მოძრაობის წესები დარღვეეს, დიდი ამბავი, წესები იმისათვის არსებობს, რომ ვინმემ დაარღვიოსო, მაგრამ ჩვენ სულ სხვა აზრისანი გახლავართ, წესების დარღვევას, შენც კარგად იცი, თუ რა მიმღე შედეგები მოსდევს. ამის მაგალითის საძებრად, საუბედუროდ, შორს არ მოგიხდება წასვლა.

გაუფრთხილდი, ბიძია, შენს სიცოცხლეს, სხვათა სიცოცხლეს, და სხვებიც გაუფრთხილდებიან შენს სიცოცხლეს. მერედა, მიდი და დაუფიქრდი, სიცოცხლეზე ძვირფასი თუა რაიმე!

ჰოდა, ამისათვის აწყობს რეიდებს თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის საზოგადო კონტროლირთა საბჭო, რომელსაც ს. სამხარაძე ხელმძღვანელობს. მასში მონაწილეობას იღებენ თბილისის ავტოინსპექცია და მილიციის განყოფილებების მუშაკები. წარმოება-დაწესებულებების წარმომადგენლები. ყველაფერი ეს შენთვის კეთდება, შენი უშეშროებისათვის, შენი სიცოცხლისათვის, რომ შენი ცხოვრების ძაფი უდროოდ არ გაწყდეს.

ასეთი რეიდები მოეწყო ამა წლის 16-სა და 22 ოქტომბერს და, სხვათა შორის, სამგზავრო ტრანსპორტის შიგნითაც მრავალი უშეგავსოება გამომდგენდა.

აი ზოგი მათგანი:

მთელი რიგი კონდუქტორები წესიერად რომ მუშაობენ, სხვები ბილეთებში ფულს იღებენ, მაგრამ ბილეთებს თვალისჩინივით უფრთხილდებიან, ხელიდან არ იცილებენ. ასე და ამრიგად, ბილეთების საფასური აიღეს, მაგრამ ბილეთები არ მოუხიეს:

ავტობუსი 77-04-ის კონდუქტორმა კრივონოვმა — 10 მგზავრს.

ავტობუსი 00-79-ის კონდუქტორმა შიტოვამ — 20 მგზავრს.

ავტობუსი 14-57-ის კონდუქტორმა რაზაიკამ — 10 მგზავრს.

ავტობუსი 07-92-ის კონდუქტორმა ვოლჩენკომ — 5 მგზავრს.

ავტობუსი 70-13-ის კონდუქტორმა ნარაევამ — 7 მგზავრს.

ავტობუსი 67-99-ის კონდუქტორმა ოსეპინამ — 16 მგზავრს.

ავტობუსი 77-09 კონდუქტორი მასლენკო კი უფრო „ჭკვიანურად“ და სარფიანად იქცეოდა. ფულს იღებდა, მგზავრებს ბილეთებს არ აძლევდა და, თუ აძლევდა, საგზაო ფურცელში გაუტარებელი ძველი



ბილეთებით უმასპინძლებოდა. ესაო და ეს უფრო ხელსაყრელიაო, ხელსაყრელი კია, ჩვენც გეთანხმებით, მაგრამ ასეთი საქციელი გაკიცხვის, დაგმობისა და დასჯის ღირსი რომ არის, ესეც ხომ კარგად უნდა იცოდეთ.

შოთა იარაჩაულს კა? ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, იჯდა ტრამვაის ვაგონში სამკაბიკიანი ბილეთით ხელში, პირში პაპიროსგარჩილი და ნაფაზს ნაფაზზე ურტყამდა, გააფრთხილეს, მაგრამ რა შეიძლია იყო, ჩაქრო, ესაო და პრინციპული კაცი ვარ, ამინთია, ხარჯი გამიწევია, შრომა მინახავს, მწვეელი კაცი ვარ, და, სანამ ბოლომდე არ მოვწევ, ცოცხალი თავით თავის დამნებელი არა და არ ვარო.

— ჩემო შოთა, პრინციპულობა კარგია, ძვირფასია, მაგრამ ისეთი პრინციპულობის ფასი, შენ რომ გამოიჩინე, შაურია. ნამდვილად და ისიც გახერხილი შაური.

ბონდო შირიტაშვილი კი კიდევ უფრო შორს წავიდა. საზოგადო კონტროლირის უცნებო სიტყვების კორიანტელით გაუმასპინძლა. და, როგორ გგონიათ, ამით განა მარტო ის შეურაცხა? შეურაცხყო ყველა, ვინც მათ უსმენდა. ე, ჩემო ბონდო, ტკბილი სიტყვა გერჩიოს მწარესა, რამეთუ, ვისაც შენ მწარე სიტყვით მიმართავ, ტკბილით არ გადაგიხდის, შენც მწვენივრად იცი, რომ სიტყბო სიმწარეს ჯობია როგორღაც და შენც ეგრე მოიქეცი, როგორც სხვები იქცევიან.

მე-ნ მარშრუტის ტრამვაის 69-ე ვაგონის კონდუქტორ რაისა დელიკოვას ასე ჰგონია, ერთი თვითონ მუშაობს მარტო და ყველა დანარჩენები უსაქმურები დახეგტ-



ბიან. როგორც იტყვიან, დელიკოვას სალან-ძღაი სიტყვისათვის ჯიბეში არ ჩაჭერება, ლანძღვა-გინების უნივერსიტეტი არ არსებობს და არც დელიკოვას დაუშთავრება ის. მაგრამ ისეთი გინებით გაუმასპინძლდა ერთ პატივსაცემ საზოგადო კონტროლირის, რომ მის გინებებს, სამსართულიანი კი არა, ცხრასართულიანი უნდა ეწოდოს. რაისას თვითონ არ უყვარს, როცა მას ვინმე ლანძღავს, მაგრამ სხვების ლანძღვაში გაწაფულია. — პატივცემულო რაისა! ძალზე სქელია თქვენი ყოველდღიურად სახმარი სიტყვების ლექსიკონი, ხელს ნუ ჰკრავ ჩვენს რჩევას და იქიდან სალანძღვა-საგინებელი სიტყვები ამოშალე, და მერე შენც დაისვენებ და სხვებსაც დაასვენებ. ეს, სხვათა შორის, დასვენების დიდი ხნის ნაკადი ხერხია! გამოიყენეთ ეს ხერხი თქვენც, რაისას მიმდევრებო და ერთხელ და სამუდამოდ დაიმასხოვრეთ ბრძნული ნათქვამი: „ზოგჯერ თქმითაც დაშავდებიან“.


იმ დღეებში ორმაგი გადასწრებებიც იყო და სამმაგი გადასწრებებიც, უადგილო ადგილას ტრანსპორტის გაჩერებაც და მგზავრების უკანა ბაქნიდან ჩამოსვლაც; ხალხით გაქედილ ტრანსპორტში პაპიროსის მხროლავი ბოლბაყ და სამსართულიანი გინებებით ხელჩართული პრძოლენიც, დაჯარიმებაც და ჯარიმის გადახდაც; ჩადენილი დანაშაულის გულწრფელი აღიარებაც და ჯორის სიჯიუტის გამოშლანებაც, კონდუქტორის მიერ მგზავრების შეურაცხყოფაც და მგზავრების მხრიდან კონდუქტორის შრომის შეუფასებლობაც; ერთის სიტყვით, ყველა ჯორის წესებისა და ურთიერთპატივისცემის ელემენტარული მოთხოვნების დარღვევა.

ნიადაგს არ უყვარს დარიგებების მიცემა, დიდაქტიკა მისი საქმე არ არის, მაგრამ მისი მოთხოვნა სამართლიანი მოთხოვნაა: წესებს საქმეში უკეთ ჩახედული ადამიანები აწესებენ, საჭიროა შევასრულოთ ეს წესები, ამისათვის არც არაპრინციპულობას დაგვწამებს ვინმე და არც ჩინსა და მედელებს ჩამოგვართმევს.

პატივი ვცეთ ერთი მეორეს, ისე მოვიქცეთ, რომ ჩვენი, თუ უმსგავსი არა, ცუდი საქციელისათვის თითი არ გამოიშვირონ ჩვენსკენ.

ისე მოვიქცეთ, რომ სულ ღიმილი დაგვთამაშებდეს სახეზე, და მერე, თუნდაც ათასობით ფოტოპარატი მომართონ ჩვენკენ, დარდი არაფრის გვექნება.

ნინაზი





— მე პირველად ვარ სამსახურში და გთხოვთ, ყურადღება მომაქციოთ!

მოდერნიზებული პიტეკანტროფი

კავშირგაბმულობის ისტორია დღემდე არ იცნობს ძროხების ფოსტით გაგზავნის ფაქტებს. ამიტომაც არ არის გამოშვებული ისეთი საფოსტო მარკები, რომლებიც ძროხის შუბლზე დასაკრავად გამოდგებოდა. მიუხედავად ამისა, ნურავის გაგიკვირდებათ, თუ ერთ მშვენიერ დღეს ფოსტალიონი წერილის ნაცვლად სოფლიდან გამოგზავნილ ძროხას ჩაგაბარებთ, რადგან, ამ ბოლო დროს, თბილისის მთავარი ფოსტის თანამშრომელი გიორგი კურტანიძე და მისი ასისტენტი საფოსტო მანქანის გრა 16-34-ის მძღოლი ლაზარე ბაკუშვი დიდ მუშაობას აწარმოებენ ამ მიმართულებით.

პირველი ცდა ძროხების ფოსტით გაგზავნის დასამკვიდრებლად მათ მიმდინარე წლის 3 ნოემბერს ჩაატარეს. ამ დღეს კურტანიძემ და ბაკუშვიმ თბილისის მთავარი ფოსტიდან გარდაბნის საფოსტო განყოფილებაში ჩაიტანეს წერილები და ამანათები.

ყველაფერი უკლებლივ ჩააბარეს და, სამაგიეროდ, კვლავ შეავსეს მანქანა ამანათებითა და წერილებით. სწორედ ამ დროს მოხდა ის მოულოდნელი შემთხვევა, რომელიც თანსდევს ყოველ ახალ აღმოჩენას. გარდაბნის ბაზარში კურტანიძე და ბაკუშვი „შემთხვევით“ შეხვდნენ თბილისელ სუტო სმოიანს, რომელსაც ორი ძროხა ეყიდა და ახლა მათ წამოყვანაზე ფიქრობდა.

გ. კურტანიძეს და მის ასისტენტს ბევრი არ უფიქრიათ და, რადგან ძროხების გადასაზიდი საფოსტო ნიშნები ჯერ არ არის გამოშვებული, სუტოს ფულის ნიშნები გამოართვეს და ძროხები წერილებთან და ამანათებთან ერთად მანქანაში მოათავსეს.

სამწუხაროდ, ძროხები ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმძლავრე და ისეთი ძროხობა ჩაიდინეს, რომ სამარცხვინოდ ჩაშალეს ეს შესანიშნავად გააზრებული ოპერაცია.

როგორც ჩანს, ძროხები იმდენად გაიტაცეს წერილებმა და მათი მისამართების კითხვამ, რომ სრულიად გადაავიწყდათ ახალი მეთოდით გადაყვანის მნიშვნელობა, საფოსტო მანქანა მინდვრად მიიჩნიეს და დაუშვეს ზოგიერთი ანტისანიტარული გამოხდომებით.


საქმე ის არის, რომ ყველაფერს ძროხებს ვერ გადავებარებთ. სათანადო ორგანოები საფუძვლიანად შეისწავლიან ამ საქმეს და „ჯილდოს“ გარეშე არ დატოვებენ გ. კურტანიძეს, ლ. ბაკუშვს და ძროხების „მოყვარულს“ ს. სმოიანს.

პ. ჯაფარიძე


სოხუმი ამ ზაფხულსაც ძლივს იტევდა დამსვენებლებს, ზღვა ხალხი მოაწყდა ზღვას. პლაჟზე ნემსის ჩასაგდები ადგილიც არსად იყო დარჩენილი. ბავშვები, მოხუცები, ქალები და კაცები ერთნაირად იხუხებოდნენ მზეზე. შავი ზღვა საერთო აბანოს დაემსგავსა. მამაკაცები ტარზანის მორთულობით დადიოდნენ ქალების წინაშე და არც ქალები იყვნენ ჩადრებში. ყოველივე ეს ხდებოდა პლაჟზე, ქუჩაში კი ისევ კოსტუმებით. ზედა პერანგებით, ბლუზებითა და კაბებით დასეირნობდნენ.

არის მკაცრი და სამართლიანი კანონი, რომ ქუჩაში არ შეიძლება შიშველი სიარული. ეს საზოგადოების უზუღვემეულობაა. ეს საზოგადოების შეურაცხყოფაა. თუმცა ზღვისპირა საკურორტო ქალაქებში ხშირად ამ კანონის დარღვევასაც აქვს ადგილი. ვიყავთ პირუთვნელნი და მოურიდებლად ვთქვით, რომ ქალაქის ეთიკას არღვევენ არა მარტო მოდერნიზებული პიტეკანტროფები, არამედ ზოგიერთი ფაბრიკის მუშაკებიც.


წელს სოხუმის მრეწველობის მაღაზიებმა მიიღეს მამაკაცის ზედა პერანგები, არტიკული 503-1514 დამზადებული საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს „დინამოს“ სპორტინვენტარის ფაბრიკის მიერ. ეს პერანგი შეკერილია სიფრიფანა და გამჭვირვალე კაპრონისაგან და რატომღაც „სპორტი“ ჰქვია. და აი სოხუმის ქუჩებში გამოჩნდნენ მამაკაცები, რომლებსაც ზედატანი სრულიად შეუმოსავი ჰქონდათ, ანდა მხოლოდ მაისურები ეცვათ. თვით მაღაზიებში კი ეყიდა ეთიკეტი—ფასი ჩვიდმეტი მანეთი და პერანგი კი არა ჩანდა. თავისი გამჭვირვალე თვისების გამო. ერთი ასეთი შემთხვევაც მოხდა: მელიციის თანამშრომელმა შენიშვნა მისცა ერთ ახალგაზრდას, რომ არ შეიძლება ქუჩაში უპერანგოდ სიარული, რომ მას შიშველი მხოლოდ პლაჟზე შეუძლია ყოფნა. რა გაოცებული დარჩა მელიციის თანამშრომელი, როდესაც ხელის შეხებით დარწმუნდა, რომ ახალგაზრდას პერანგი ეცვა. მაგრამ ეს კიდევ მისატყვებელი ცოდვაა, მთავარი ისაა, რომ ამ პერანგს „სპორტი“ ჰქვია და სპორტული კი არაფერი გააჩნია. სახელობიც კი გრძელი აქვს. ეს კიდევ არაფერი, მთავარი ისაა, შეკერვის ელემენტარული წესებიც არ არის დაცული. პერანგს საყლო სწორად უნდა ჰქონდეს მიკერებული და არა ირიბად, ნაკერი გვირსტები უხეში და ზიგზაგური კი არ უნდა იყოს, არამედ სწორი და ფაქიზი და, რადგან ადამიანს ორივე მკლავი ტოლი აქვს, სახელოებიც თანბარი სიგრძისა და განისა უნდა იყოს. საკერავი ძაფი თვით პერანგის ფერს უნდა შეფარდებოდეს, ღილეზი სადაფისა უნდა იყოს და არა თეთრეულის, მანძილი ღილეზს შორის ტოლი უნდა იყოს და სხვა.



ასე რომ, ქსოვილი, რომლითაც პერანგი „სპორტი“ შეკერილი, მამაკაცის საპერანგეც რომ იყოს. შეკერვის მიხედვით მაინც უხარისხოა. და ეს პერანგები გამოშვებულია თითქმის ხუთი ათასი ცალი, იგი არა მარტო სოხუმის მრეწველობის მაღაზიების ვიტრინებსა, აგრეთვე, არამედ სომხეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და სხვა რესპუბლიკის ქალაქების მაღაზიების ვიტრინებსაც. კიდევ კარგი, ეს პერანგები, როგორც ვთქვით, არა ჩანს, თორემ ორმაგად მოეჭრებოდა თავი ფაბრიკის ხელმძღვანელობას. საინტერესოა, „დინამოს“ სპორტინვენტარის ფაბრიკის დირექტორი პ. ვენგერი, მთავარი ინჟინერი გ. ძოწინიძე, საამქროს ოსტატი დ. ფულარია და ტექნიკური კონტროლი კ. სარიბეგოვი თვითონ თუ ჩაიყვამენ ამ პერანგებს? თუმცა მთავარი ინჟინერი ძოწინიძე აცხადებს, რომ ზოგს მღვდელი უყვარს და ზოგს ფოფოლიაო, რომ ეს პერანგები იყიდება და ჩაწოლილი არ არისო. ჩვენ არ ვიცით, ვისი სიყვარული უფრო სჯობია, მღვდლისა თუ ფოფოლიასი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ უხარისხო და უგემოვნო პროდუქციის გამოშვება, თუნდაც იგი საღვებოდეს, დანაშაულია.



გ. გაკიაშვილი



ადგილს. ეზოში და ახლის აივანში
 ზე ქაღების მოკლე გვიღებდა გ
 ისმა. უნაყოლო კაპუშინი გაში
 წყობილი ახალგაზრდა დაბა
 ტიშკარს ქორივით დადურინდა
 — შარვალს ზატოვებს,




ბ. ფირცხალაძე


63674M81

ბა - თავის მოსახლან... დრო ზეშმა მარცმეხელ
მა და წინანდელი არგუმენტის გასაბათილებლად
თავის კეფა მივთხვანა.
... სსსს... ვაჟიერეთ. ბალიდან ვამოსულებმა
თავისუფალი ტაქსი და ზუთ წუთში ადგილზე გი-
ყავით.
ჩემი მორეკ ნახევარი უთმალადავ... მიმიხვდ


— აქთან, შე ცაცო, არ გახსოვს? — ეკლავ
ვახსენე ამასწინააღდღი. სტუმარ-მასპინძლობა
— აუ, ღმერთო ზოგჯერ, ეს რაუა დამეძინა
ამ დროსო კაცს! — გაშვებუთ იტყუა შეზღ-
ბელი. — სკოლოზი, ბატონი, სკოლოზი... —
იჩურდუნა თავაჭირდოვლმა და კიბედა
ჩაიბრინა, უკან აღარ შოუხდევას.



ლილი ნუცუბიძე



არაეკონომიურად დახარჯული მასალის რაციონალურად გამოყენება



— ფულს რომ დაუკითხავად იღებ, ეს ხომ ქურდობაა, ვის დაემსგავსე ასეთი?
— უველა მეუბნება პირწავარდნილი მამაშენი ხარო?



— გუშინ რომ მითხარით, საათს ქვა აკლიათ. აგერ მო- გიტანეთ!

ახალაგებული ზოგიერთი სახლის ეზო კეთილმოუწყობელია.



— ეს ჩემი საცხოვრებელი სახლი გახლავთ!
— თქვენთან, ალბათ, სპორტსმენები ცხოვრობენ და ად- ვილად ახტებიან ამ ორმოებს!



რა ბზიკმა უკბინა მოიზ ხომბეს შუალამისას, არავინ იცის. არც ის არის ცნობი- ლი, დარჩა თუ არა ამის შემ- დევ საბრალო მწერი ცოცხა- ლი. ყოველ შემთხვევაში, ჩომბეს არაფერი მოსვლია, თუმცა დღესაც ამტიციებს, ბზიკი მტრებმა მომიგზავნე- სო.

ასე იყო თუ ისე, ლამის ორ საათზე ჩომბე წამოვარდა ლოგინიდან, გააღვიძა ფრან- ვი მდივანი ქალი (როგორც ხედავთ, მას არც გემოვნება აკლია და არც ფული!) და უბრძანა სასწრაფოდ გამოე- ძანა ბელგიელი ჟურნალის- ტი — ჟურნალ „პურკუა პა?“ — ს („რატომაც არა?“) კორესპონდენტი.

ამჟამად ჩომბე ბარსელო- ნაშია (ფრანკოსთან ამგვარი გულამაჩუყებელი სიახლოვე არ უნდა იყოს) გასაკვირი: ორივე დიქტატორს საერთო იდეალები აქვთ და მისი სურვილი კანონია. ამიტო- მაც იყო, რომ კორესპონდენ- ტი საწოლიდან წამოაგდეს და კატანგის ყოფილ მბრძა- ნებელს მიჰგვარეს.

გაოგნებული ჟურნალის- ტი სენსაციურ ამბებს მოე- ლოდა და, მართლაც, მრავა- ლი რამ, რაც მან მოისმინა, სენსაციას არ იყო მოკლე- ბული.

რატომ მიატოვა ჩომბემ მშობლიური კატანგა?

პა-პა! თქვენ გგონიათ, ხალხის რისხვას გამოექცა, არა? სისულელეა! ის სამ- ქურდალოდ ჩამოვიდა... ფრანკოსთან! საქმე ის არის, რომ მას წამლავდნენ. დიახ, წამლავდნენ. თუმცა ექიმები ამაში არ იყვნენ დარწმუნე- ბულნი, მაგრამ რა გაეგებათ მათ აფრიკული შხამებისა! ჩომბემ უკეთ იცის, როგორ შეიჭრა მის ტვინში შხამი. რაც მართალია, მართალია! საწამლავე შეიჭრა ამ ადამი- ანის ტვინის ყოველ ხვეულ- ში. მოწამლული კაცი ჩომ- ბე. მაგრამ ვის მიერ? ეს „იუნიონ მინიერ“ ოფ კატან- გაში“ უკეთ იციან.

„იუნიონ მინიერ“ — ის პატრონები „ეხმარებოდნენ“ მატერიალურად, ათასობით უანდარბი და დაჭირავებული ჯარისკაცი იცავდა მას. მაშ, რატომ მიატოვა ჩომბემ იქა- ურობა?

კატანგის ყოფილი მბრძა- ნებელი ილიმება: დაჭირავე- ბულებს ფული ჩომბეზე უფ- რო მეტად ჰყვარებიათ. ჩომ- ბემ სახელმწიფო თანხები- დან უკვე გადაუხადა მათ 50

მილიონი ფრანკი, მაგრამ ის, ვისაც ეს ფული ჩააბარა, „მოულოდნელად“ მიიძალა და ჟანდარმები მშრალზე და- ტოვა. საოცარია, გამტაცებე- ლიც და ჩომბეც თითქმის ერთდროულად წავიდნენ კა- ტანგიდან. მაგრამ მასზე ცუ- დი არაფერი იფიქროთ, ჩომ- ბე აქ არაფერ შუაშია. მას წარმოდგენაც არა აქვს, სად არის ახლა ეს ფული. ხელ- მოკლეობას განიცდის მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა: ხუმრობა როდია რვა ბავშვი! რა აჭამოს? რა ჩააცვას? კა- ტანგიდან მხოლოდ ერთი, ტონა საბუთების წამოღება მოასწრო და „საბრალო“ ახ- ლა ამ ქაღალდებით თუ იკ- ვებება.

კორესპონდენტს ცრემლი მოადგა თვალზე და ხელი უნებლიედ ჯიბისკენ წაი- ლო, სადაც რამდენიმე ფრან- კი ეგულეობდა. მაგრამ ჩომ- ბე ამჟამად გასწორდა წელ- ში: არა! ფულს არ იღებს! ჩომბე გამოიცვალა. მას სხვა დახმარება სჭირდება. ყო- ველმა გაზეთმა უნდა ამც- ნოს მსოფლიოს, რომ ჩომ- ბეს კრედიტ შეიცვალა: გაუ- მარჯოს კონგოს ერთიანო- ბას!

— რაო?! — კორესპონ- დენტს წამსვე შეაშრა ცრემ- ლი: ხომ არ შეიშალა მოი- ზი?

არა! ჩომბეს ახლა მტკი- ცედ სწამს, რომ კატანგელი სეპარატისტები ცდებოდნენ. ბოლო დროს სულ გადაირი- ვნენ: სამად გაყვეს კატანგა, რაც ჩომბეს ხელს არ აძ- ლევს. ეს პროვინცია კონგოს განუყოფელი ნაწილია. ჩომ- ბე აღარ დაბრუნდება კატან- გაში. რომ ამბობენ, „მალა ჭამაში მოდისო“, სწორი ყო- ფილა და ახლა მას სულ სხვა გეგმები აქვს: კონგოს პრე- ზიდენტობაზე ოცნებობს.

ამჯერად კორესპონდენ- ტი ილიმება: ყველაფერი ნათელია. კონგოს მხოლოდ ჩომბე გააერთიანებს. ასე სწამთ ბრიუსელში, მადრიდ- ში, ლონდონში. წლების მან- ძილზე არ იშურებდა ჩომბე ენერგიას კატანგაში მისი მბრძანებლების ნება-სურვი- ლის განსახორციელებლად. მართალია, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მაგრამ, რასაც ვერ შეწვდა ელისაბეტვილ- ში, ხომ შეიძლება ლეოპოლ- დვილში შეწვდეს?..

პურკუა პა? რატომაც არა?

ივ. მენაბდე



უოვლისმკვრებო ნიანგო!

წამლის ყიდვა რომ გინდა, მიჩვეული ხარ, სწორედ იმ სახლში შეხვიდე, რომელსაც „აფთიაქი“ აწერია და, როცა კამა გჭირდება — ხილბოსტნეულის მაღაზიას მიაშურო.

მაგრამ უოვლეთვის ასე ნუ მოიქცევი, ნუ დაუჭერებ მაცდურ წარწერებს, თორემ, თუ არ ინანებ, მოტყუებული მაინც დარჩები.

ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე № 19-ში 23-ე მაღაზიას მრავლისმეტყველი წარწერა აქვს „კულტ-საქონელი, გალანტერეია, ქსოვილები, ტრიკოტაჟი“. კულტსაქონელი და გალანტერეია იმდენია შიგ, რამდენიც სულსა და გულს გაუხარდება, მაგრამ ქსოვილები-სა და ტრიკოტაჟისა რა მფასენოთ, რა დაგვარგვია და რას ეძებ! მაღაზიაში ქსოვილები და ტრი-

კოტაჟი არავის არ უნახავს და, როგორც ჩანს, წარწერას პეპელასავით ექცევიან, ნურც გაფრინდები და ნურც მოფრინდებიო, რომ უთხრეს.

შიგნით რომ შეხვალ... მაგრამ რას შეხვალ, როცა თითქმის უსაწყობო მაღაზიაში იმდენი საქონელია დახლს შიგნით და დახლს გარეთ დახვავებულ-ჩახერგილი, რომ გამყიდველების ცოდვით თვალი აგიცრემლდება: — ერთი ცალი საქონლის გასაყიდად ოცდაათი სხვა რომ უნდა ჩამოიდოს და მერე ისევ რომ უნდა აახუხულოს.

მინგრეულ-მონგრეულ კედლებსა და იატაკზე არაფერს ვამბობთ, სიტყვა რომ არ გავვიგრძელებს.

როდის დაემსგავსება ეს მაღაზია მაღაზიას?

მუშტარი

გეშინიათ, სულ მალე გამოვიყვანთ წყალსო“, მაგრამ მათ წყალი რომ მოსწყურდებათ, ღვინოს სვამენ და, ღვინოს რომ სვამენ, წყალი ავიწყდებათ.

იქნებ თქვენ რამე გვიშველოთ, ძვირფასო ნიანგო!

სოფელ დარჩიეთის მცხოვრებთა სახელით.

ბ. შეთაპაური,

ძვირფასო ნიანგო!

გურჯაანის რაიონის სოფელ დარჩიეთში სტუმრად რომ ჩამობრძანდეთ, ღვინოს, რამდენსაც გინდა, იმდენს დაგაღვინებთ.

რომ იტყვიან, სწორედ ჩვენს სოფელზეა ზედგამოჭრილი: იქ ღვინო უფრო იზოვება, ვიდრე წყალიო, მაგრამ პირს ღვინით ხომ ვერ დავიბანთ, ჭამ-ჭურჭელს ღვინით ხომ ვერ გავრცხავთ. ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეში სჭირდება კაცს წყალი. ჰოდა, საღამოობით რომ გაჩვენათ, ისეთი რიგია სოფლის ორად-ორ ონკანთან, ისეთი რიგია, — ან ბაზარი გეგონებათ, ან ვედროების დოღი. ზოგ გაგულისებულ ქალს წყევლაც კი წამოსცდება: „წყალში დაიხრჩოს, ვინც ამ წყლის საქმეს არ აგვარებსო“, მაგრამ აბა დარჩიეთში სასმელი წყალი არა გვაქვს და დასახრჩობი საიდანა იქნება... ასე რომ, ქალების წყევლაც ისეთივე უშედეგოა, როგორც თვით სოფლის ხელმძღვანელთა დაპირება: „ნუ



ნიანგი

ნიანგი

პატივცემულო ნიანგო!

თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ ზღაპარი ბეწვის ხიდის შესახებ. ჩვენ არ ვიცით, რომელ მდინარეზე იყო ეს ზღაპრული ხიდი, მაგრამ უკანასკნელ ხანს წარმოებული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ბეწვის ხიდი გეგეპკორის რაიონში მდინარე აბაშაზე ყოფილა გადებული. როგორც გადმოგვცემენ, ხუთი წლის წინათ დაუმთავრებიათ ამ ხიდის მშენებლობა. ჩვენ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ერთხელ დაბეტონებული ხიდის საყრდენები მდინარე აბაშას წარუტაცია. ერთის სიტყვით, ხიდი სხვაგან ააშენეს. ხიდეზე გასასვლელად სხვადასხვა ზომის ფიცრები დააწყვეს, ისე რომ მასზე მხოლოდ გამოცდილ ჭამბაზებს თუ შეუძლიათ გავლა. ერთხელ მდინარე აბაშის სანაპიროზე მეფრინველობის ფერმას ვათვალიერებდი და ხიდის რკინის ღერძზე ვიდაც კაცი ვარჯიშობდა. როგორც შემდეგ გავიგე, ეს კაცი ტანმოვარჯიშე კი არ ყოფილა, არამედ ხიდიდან გადავარდნილა და თავის გადასარჩენად ასრულებდა რთულ სპორტულ ილეთებს. აღნიშნული ხიდის „წყალობით“ რომ ბევრი დაზარალდა, ამას გეგეპკორის რაიონის საავადმყოფოს ექიმებიც დაგვიდასტურებენ, სადაც მათ მკურნალობდნენ.

პატივცემულო ნიანგო, ერთი კითხვა მინდა დავისვით და გთხოვთ მიპასუხოთ: თუ მდინარე აბაშაზე ხიდის მშენებლობა არ იყო საჭირო, მაშინ რატომ დაიხარჯა ათეული ათასი მანეთი! მე მაინც მინდა გთხოვოთ, ძმაო ნიანგო, რომ გაახსენოთ საგზაო მშენებლობის სამინისტროს და ყველა იმას, ვისაც ამ ხიდის მშენებლობის დამთავრება ეხება, რომ თქმულმა ბეწვის ხიდის არსებობის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება და საჭიროა არა ბეწვის ხიდის აშენება, არამედ რკინა-ბეტონისა, რომ მოქალაქეებმა და ტრანსპორტმა უშიშრად იარონ მასზე.

ბეკელი

რედაქტორი ნ. შევლიძე.


სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 2-10-49

ხელმოწ. დასაბ. 16/XI-1963 წ. ქალ. ზომა 70×108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინი ქ. № 14. შეკვ. № 2478. უფ. 12214. ტირაჟი 40.000

იმდენად ძლიერია ატომური „დამრტყმელი ძალის“
დარტყმა ნაციონალურ ეკონომიკაზე, რომ ის ადვი-
ლად აღწევს 20 მილიარდი ფრანკი მიიღოს საფრან-
გეთის ბიუჯეტიდან მომავალ წელს.



დარტყმა ნოკაუტით.